ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2017 წლის 3 აპრილი

სოფ. წეროვანი

„ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (04/08/2015 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.150.016090)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების საფუძველზე, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 აგვისტოს №27 დადგენილებით (04/08/2015 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.150.016090) დამტკიცებულ სამსახურის დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის“ დებულების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნასა და განახლებას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ბალაშვილი**